

საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობითი მითითება

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საფინანსო სექტორის სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკს ეკრძალება საბანკო მომსახურების მომხმარებელს დააკისროს მის მიერ გაცემულ კრედიტებზე/სესხებზე რეფინანსირების შედეგად წინსწრებით დაფარვის საკომისიო, რომელიც აღემატება კრედიტის/სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 2%-ს.

წერილობითი მითითება ძალაშია 2011 წლის 4 მაისიდან 2011 წლის 1 ოქტომბრამდე.

აღნიშნული წერილობითი მითითების დარღვევის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი გამოიყენებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სანქციებს.

ეროვნული ბანკის ვიცე პრეზიდენტი

ოთარ ნადარაია